სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს

გადაწყვეტილება № 476

(ოქმი № 423)

თბილისი 2020 წლის 28 მაისი

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ კულინარიული მეგა შოუს "მასტერშეფი" და მუსიკალური მეგა შოუს "THE VOICE" დამზადების/განხორციელების და ეთერში განთავსების მიზნით კომპანიასთან შპს "ნოვა პროდაქშენს" შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

ვინაიდან, თითოეული გარიგების (კულინარიული მეგა შოუს "მასტერშეფი" და მუსიკალური მეგა შოუს "THE VOICE" დამზადება/განხორციელება) ღირებულება აღემატება საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტის 1%-ს, "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 30(1) მუხლის "ე" ქვეპუნქტის თანახმად და სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის 21.05.2020წ. №602 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

მიეცეს თანხმობა სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალურ დირექტორს, 2020 წლის შემოდგომის სატელევიზიო სეზონზე კულინარიული მეგა შოუს "მასტერშეფი" და მუსიკალური მეგა შოუს "THE VOICE" განხორციელების და ეთერში განთავსების მიზნით, მათი დამზადება დაუკვეთოს კომპანიას შპს "ნოვა პროდაქშენს" და აღნიშნულ კომპანიასთან მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულებები.

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე:

ირინა ფუტკარაძე

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს წევრები:

ბესიკ ლილუაშვილი

გიორგი ნიჟარაძე

იზაბელა ოსიპოვა

ირაკლი პაპავა

მიხეილ ჩიკვილაძე